ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5854723

ნომერი: AR1880480

თარიღი : 25.02.2022

გაცემის თარიღი : 18.03.2022

გაცნობის თარიღი : 18.03.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ჟიული შარტავას ქუჩა, N 43გ, ქალაქი თბილისი , ქუჩა გოთუა , N 18 ზ ; ქალაქი თბილისი , გოთუას ქუჩა N18;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დალი ბენაშვილი პ/ნ 01034005571
- თბილისი დ.ბერიაშვილის ქ. N 21

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 14/03/2012 წ. №80224 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 25 თებერვალს №AR1880480 განცხადებით მომართა დალი ბენაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 14/03/2012 წ. №80224 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 14/03/2012 წ. №80224 ბრძანებით, №01.10.13.010.062 (1900.0 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად დამტკიცდა მიწის

ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

2012 წლის 11 ივლისს №258753 ბრძანებით შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი. კ1 კოეფიციენტი კანისაზღვრა 0.7, კ2-8.2.

2013 წლის 14 თებერვალს №542381 ბრძანებით გაიცა შეთანხმებული პროექტის მშენებლობის ნებართვა.

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 14/03/2012 წ. №80224 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და N01.10.13.010.062 და N 01.10.13.010.091 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად განახლებული საკადასტრო გეგმის და ამონაწერის დაფიქსირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება 14/03/2012 წ. №80224 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 14/03/2012 წ. №80224 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ :

- დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო კოდი - N 01.10.13.010.098 (მიწის ნაკვეთის ფართობი: 2798.0), მომატებული მიწის ნაკვეთის რესურსის (განაშენიანების კოეფიციენტი კ1, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენი კ2) გამოყენების უფლების გარეშე.
- დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა (განცხადების ნომერი #882022075514; მომზადების თარიღი 22/02/2022წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (განცხადების ნომერი # 882022075514, მომზადების 22/02/2022წ.)
- დაცული იქნას საზღვარი ფუნქციურ ზონებს შორის.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 14/03/2012 წ. №80224 ბრძანებ(ებ)ით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

-

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.